№1573 2015 წლის 20 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის №289 დადგენილებით შექმნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გამოყოფის საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების მიღების თაობაზე

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გამოყოფის საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის №289 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის №289 დადგენილებით შექმნილი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გამოყოფის საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის“ (შემდგომში – კომისია) 2015 წლის 3 ივლისის სხდომის №1 ოქმის გათვალისწინებით:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნა მე-3 სასწავლო კორპუსში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. მე-3 სასწავლო კორპუსში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს 903,271.00 ლარის ფარგლებში, შემდეგი პირობით: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები 2015 წლისათვის დაფინანსდეს 270,981.30 ლარით, რაც წარმოადგენს ჯამური ღირებულების 30%-ს, ხოლო დარჩენილი დაფინანსება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით, დაფინანსების გამოყოფისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, რომ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებულ მე-3 სასწავლო კორპუსში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

დ) ეთხოვოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, უზრუნველყონ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდიდან: 32 04 02 05 („მეცნიერების აღდგენა და განვითარება“) შესაბამისი ასიგნებების გადატანა პროგრამულ კოდში: 32 05 02 03 („უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“);

ე) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნა ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე, შემდეგი პირობით: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ძირითად კორპუსში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დაჩქარებული წესით დამატებით შეათანხმოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. მიღებული შედეგების გათვალისწინებით, მიეცეს რეკომენდაცია სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, გააფორმოს დაფინანსების ხელშეკრულება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, ამ პუნქტში მითითებული პირობების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს შემდეგს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები 2015 წლისათვის დაფინანსდეს 455,277.38 ლარით, რაც წარმოადგენს ჯამური ღირებულების 30%-ს, ხოლო დარჩენილი დაფინანსება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით, დაფინანსების გამოყოფისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, რომ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებულ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

დ) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტსა და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნა პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტსა და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს 1,283,916.09 ლარის ფარგლებში, შემდეგი პირობით: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტსა და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები 2015 წლისათვის დაფინანსდეს 385,174.80 ლარით, რაც წარმოადგენს ჯამური ღირებულების 30%-ს, ხოლო დარჩენილი დაფინანსება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით, დაფინანსების გამოყოფისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, რომ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებულ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტსა და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

დ) ეთხოვოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, უზრუნველყონ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდიდან: 32 04 02 05 („მეცნიერების აღდგენა და განვითარება“) შესაბამისი ასიგნებების გადატანა პროგრამულ კოდში: 32 05 02 03 („უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“);

ე) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

4. სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსებში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნა უნივერსიტეტის კორპუსებში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული სამუშაოებისათვის დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს 3,766,500.74 ლარის ფარგლებში, შემდეგი პირობით: სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსებში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები 2015 წლისათვის დაფინანსდეს 1,129,950.22 ლარით, რაც წარმოადგენს ჯამური ღირებულების 30%-ს, ხოლო დარჩენილი დაფინანსება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;

ბ) ვინაიდან კომისია შექმნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გამოყოფის საკითხების განხილვისთვის, ხოლო სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ერთ-ერთ ბაზას, ამდენად, კომისია არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს აღნიშნული სატელევიზიო სასწავლო ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე. შესაბამისად, რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება განახორციელოს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდიდან: 32 05 02 02 („პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“);

გ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით, დაფინანსების გამოყოფისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, რომ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

დ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებულ, უნივერსიტეტის კორპუსებში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

ე) ეთხოვოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, უზრუნველყონ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდიდან: 32 04 02 05 („მეცნიერების აღდგენა და განვითარება“) შესაბამისი ასიგნებების გადატანა პროგრამულ კოდში: 32 05 02 03 („უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“);

ვ) სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

5. სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისათვის სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესაძენად დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოთხოვნა, უნივერსიტეტის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისათვის სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესაძენად დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს 1,878,000.00 ლარის ფარგლებში, შემდეგი პირობით: სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისათვის სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შეძენასთან დაკავშირებით 2015 წლისათვის დაფინანსდეს 563,400.00 ლარით, რაც წარმოადგენს ჯამური ღირებულების 30%-ს, ხოლო დარჩენილი დაფინანსება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ფაქტობრივად შესყიდული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ღირებულებების მიხედვით;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით, დაფინანსების გამოყოფისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან. სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, რომ შესყიდულ სამეცნიერო-კვლევით აპარატურასთან

დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან გაფორმებულ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისათვის სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესასყიდად დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

დ) სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

6. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოთხოვნა სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან 2014 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული 2013 წლის 30 დეკემბრის №01/162-89 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, №01/162-89-2 შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის – 935,168.93

ლარის ფარგლებში ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებით;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით შესაბამის ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილების ასახვა. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებულ ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

დ) სსიპ – საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

7. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის მიზნით ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების დაფინანსებასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოთხოვნა ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის მიზნით ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს -8,145,824.53 ლარის ფარგლებში, შემდეგი პირობით: სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის მიზნით ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები 2015 წლისათვის დაფინანსდეს 2,443,747.35 ლარით, რაც წარმოადგენს ჯამური ღირებულების 30%-ს, ხოლო დარჩენილი დაფინანსება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით, დაფინანსების გამოყოფისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით

(თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებულ ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის მიზნით ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

დ) სსიპ – საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

8. სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების დაფინანსებასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნა, უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების დაფინანსების თაობაზე. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს 471,338.80 ლარის ფარგლებში, შემდეგი პირობით: სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები 2015 წლისათვის დაფინანსდეს 141,401.64 ლარით, რაც წარმოადგენს ჯამური ღირებულების 30%-ს, ხოლო დარჩენილი დაფინანსება სსიპ – საგანმანათლებლო და

სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით, დაფინანსების გამოყოფისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, რომ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებულ უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

დ) ეთხოვოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, უზრუნველყონ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდიდან: 32 04 02 05 („მეცნიერების აღდგენა და განვითარება“) შესაბამისი ასიგნებების გადატანა პროგრამულ

კოდში: 32 05 02 03 („უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“);

ე) სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

9. სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის წარმოქმნილი ეკონომიის გამოყენებასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნა, წარმოქმნილი ეკონომია - 24,644.90 ლარი გამოიყენოს ბიბლიოთეკის დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, შემდეგი პირობით: სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის 2014 წლის 28 ივლისს გაფორმებული №01/162-42 ხელშეკრულების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომია მოხმარდეს ბიბლიოთეკის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების ანაზღაურებას და ნებისმიერი წარმოქმნილი ეკონომია პირველ რიგში ჩაითვალოს 24,644.90 ლარის დაფინანსებიდან წარმოქმნილ ეკონომიად და მოხმარდეს ბიბლიოთეკის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციას;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან 2014 წლის 28 ივლისს გაფორმებულ №01/162-42 ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვა. სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, რომ

შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან 2014 წლის 28 ივლისს გაფორმებულ №01/162-42 ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდგომ წარმოშობილ ურთიერთობის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა.

10. სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოწყობის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების დაფინანსებასთან დაკავშირებით:

უარი ეთქვას სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ამ ეტაპზე სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოწყობის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების დაფინანსებაზე, რადგან არ იკვეთება, რომ დგას რეალური საჭიროება 2015 წლისათვის დაიწყოს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოწყობის სამუშაოები.

11. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის III და IV სასწავლო კორპუსების სახურავების შეკეთების სამუშაოების დაფინანსებასთან დაკავშირებით:

ა) დაკმაყოფილდეს სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნა უნივერსიტეტის III და IV სასწავლო კორპუსების სახურავების შეკეთების სამუშაოებისათვის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს სამუშაოების საერთო ღირებულების 207,129.42 ლარის ფარგლებში, შემდეგი პირობით: სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის III და IV კორპუსებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები 2015 წლისათვის დაფინანსდეს 62,138.82 ლარით, რაც წარმოადგენს ჯამური ღირებულების 30%-ს, ხოლო დარჩენილი დაფინანსება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;

ბ) დაევალოს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის დაცვით, დაფინანსების გამოყოფისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცეს რეკომენდაცია, რომ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ისეთი სუბიექტის მიერ, რომლის კომპეტენტურობა დადასტურებული და აღიარებულია, ერთი მხრივ, აკრედიტაციით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით (თანახმად სსიპ – კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 24 აპრილის №02/832 წერილისა);

გ) მიეცეს უფლება სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის III და IV სასწავლო კორპუსების სახურავების შეკეთების სამუშაოების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაში საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ცვლილება, თუ არსებითად არ იცვლება ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობა;

დ) ეთხოვოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, უზრუნველყონ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდიდან: 32 04 02 05 („მეცნიერების აღდგენა და განვითარება“) შესაბამისი ასიგნებების გადატანა პროგრამულ კოდში: 32 05 02 03 („უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“);

ე) სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი განკარგვა შეათანხმოს კომისიასთან, ხოლო კომისიის არარსებობის შემთხვევაში – უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**